თამარ ხუნდაძე
გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების
ისტორიის ინსტიტუტი

# თელოვანის "ჯვარპატიოსნის" ეკლესიის რელიეფის შესახებ

თელოვანის "ჯვარპატიოსნის" ხუროთმოძღვრება, მისი რელიეფური დეკორი და კედლის მხატვრობა არაერთი სამეცნიერო გამოკვლევის საგანი ყოფილა. სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ტაძრის არქიტექტურა, რელიეფური სამკაული და მოხატულობის პირველი ფენა თანადროულია. სახელდობრ, ვ. ცინცაძე, "ჯვარპატიოსნის" ხუროთმოძღვრებას VIII-IX საუკუნეების მიჯნით ათარიღებს[1], ამავე პერიოდს მიაკუთვნებს კედლის მხატვრობის პირველ ფენას ტ. შევიაკოვა[2], ხოლო წირთხლის რელიეფურ ფილას - ნ. ალადაშვილი[3]. არსებობს სხვა მოსაზრებაც - ტაძრის არქიტექტურას მოგვიანებით ვ.ცინცაძე, მის კვალად კი დ. თუმანიშვილი VIII საუკუნის II ნახევარს მიაკუთვნებენ[4], ხოლო ზ.სხირტლაძე ამავე პერიოდით ათარიღებს მოხატულობის პირველ ფენას[5].

წინამდებარე წერილი შეეხება "ჯვარპატიოსნის" ტაძრის ერთადერთ სიუჟეტურგამოსახულებიან რელიეფს, რომელიც დასავლეთი შესასვლელის წირთხლშია ჩასმული.

რელიეფური გამოსახულებანი ამოკვეთილია სწორკუთხა მოხაზულობის, ჰორიზონტალურად წაგრძელებულ ფილაზე (112x35სმ), რომელიც მიწიდან საკმაოდ მაღლა - 2 მეტრის სიმაღლეზეა ჩასმული და მის პატარა (15-17სმ) ფიგურებს მხილველი კარგად ვერ აღიქვამს (სურ.1). ამას ემატება ისიც, რომ რელიეფის ზედაპირი, განსაკუთრებით ზედა ნაწილში დაზიანებულია (რასაც ხელი შეუწყო მასალის თვისებამაც - ფშვნადი ქვიშა-ქვა).

ფილაზე ერთმანეთისგან გაუმიჯნავად წარმოდგენილია რამდენიმე სცენა და მათთან შედარებით დიდი ზომის მცენარეული ორნამენტი. გამოსახულებანი დაბალი რელიეფით (5-6 მმ) არის შესრულებული. რელიეფის ზედაპირი შებრტყელებულია. კომპოზიციის ძირითადი იდეა გადმოცემულია ფილის შუა ნაწილში, ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილ ორ სცენაში - ჯვარცმა და დანიელ წინასწარმეტყველის სასწაულებრივი ხსნა.

დანიელი ორ დიდი ზომის, ყალყზე შემდგარ ლომს შორის ტრადიციულად ორანტის პოზაშია გამოსახული (ნახ. 1). მას ხელები ფართოდ აქვს გაშლილი და ზემოთ აღმართული, მოზრდილი ზომის ფეხის ტერფები კი აქეთ-იქით გადგმული; წინასწარმეტყველს სწორი მოკლე კაბა მოსავს. ლომები დანი-

---

[1] ვ. ცინცაძე, თელოვანის "ჯვარპატიოსანი", ქართული ხელოვნება, 5, თბ., 1959, გვ.73-89.

[2] Т.Шевякова, Дата росписи первого слоя Храма в Теловани. საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, ტომი XXI N 1, 1964, გვ. 235-242.

[3] Н.А.Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М., 1977, გვ.64-68.

[4] R.Mepisachvili, W.Zinzadze, Die Kunst des alten Georgien, Leipzig, 1977, s.125; დ.თუმანიშვილი, VIII-IX საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, (სადოქტორო დისერტაცია), თბ.,1990, გვ.241.

[5] Z.Skhirtladze, Under the Sign of the Triumph of Holy Cross: Telovani Church Original Decoration and Its Iconographic Programme. Cachiers Archeologiques , 47, 1997, გვ.101-118.

ელისკენ დიაგონალურად არიან მიმართულნი, მაგრამ მას არ ეხებიან. აქ სიმბოლურადაა გადმოცემული ბოროტ ძალთა თავდასხმა, მუქარა, რაც ხაზგასმულია ლომების ფიგურების დიდი ზომებით. მათ დიდი თავები, მსხვილი ტორები და გრძელი, ბოლოებში აპრეხილი კუდები აქვთ. ამ კომპოზიციის გვერდით წარმოდგენილია ჯვარცმის თემის ორიგინალური ვერსია, რომელიც ზედა ნაწილში დანიელის სცენისაგან გამოიყოფა დეკორატიული მოტივით. ჯვარცმის კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია სადა ჯვარი დაგრძელებული ქვედა მკლავით (მკლავების ბოლოები ოდნავ ფართოვდება). საყურადღებოა, რომ ჯვარზე არ არის წარმოდგენილი ჯვარცმული მაცხოვარი, ჯვრის ქვემოთ კი გამოკვეთილია ხაზგასმულად დიდი ზომის თეზი, რომელიც იესო ქრისტეს სიმბოლოს წარმოადგენს და რომლის გამოსახულება განსაკუთრებით ადრექრისტიანულ ხელოვნებაში იყო გავრცელებული. ნათელია, რომ თეზის გამოსახულება ამ შემთხვევაში ჯვარცმული ქრისტეს სახეს ენაცვლება. ამგვარად, აქ ადგილი აქვს ადრეული ხანის იკონოგრაფიისთვის დამახასიათებელ სიმბოლურ-ნიშნებრივ აზროვნებას - მოკრძალებას ღვთის სხეულებრივი გამოსახვის მიმართ. ჯვრის ორსავ მხარეს წარმოდგენილია ორი ადამიანის ფიგურა, რომლებსაც დანიელის მსგავსი მოკლე, წელზე სარტყლიანი მამაკაცის სამოსი აცვიათ. მათი გამოსახულებანიც, განსაკუთრებით ზედა ნაწილში, დაზიანებული და გამოქარულია. ძნელად იკითხება თავები, ორივეს ხელები მაღლა აწეული და მხრების გასწვრივ გაშლილი აქვთ, უფრო მეტად კიდეებისკენ, ჯვრის მხარეს მიმართული ხელები კი უფრო მოხრილია (შესაძლოა ოსტატს არ დაეტია?!). მარცხნივ გამოსახული ფიგურის თავს ზემოთ და მარჯვენა ხელის გაყოლებაზე შეინიშნება ვიწრო, რელიეფურად ამოწეული სწორხაზოვანი მონაკვეთები, რომლებიც შესაძლოა ჯვრის თუ ძელის ნაწილს გამოსახავდეს, რის მიხედვითაც შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ორი ფიგურა ჯვარცმულ ავაზაკებს განასახიერებს. ყურადღებას იპყრობს მათი ფეხების მიმართულება: მარჯვნივ გამოსახული ფიგურის ტერფები მიმართულია ჯვრისკენ, ხოლო მეორესი - ჯვრის საწინააღმდეგოდ. ეს გულისხმობს, რომ ერთი ავაზაკი - მორწმუნე, მიბრუნებულია ქრისტესკენ, ხოლო მეორე - ურწმუნო - პირიქით. ჯვრისკენაა გადახრილი მარჯვენა ფიგურის სილუეტურად შემორჩენილი თავიც, ბოროტი ავაზაკის თავი კი თითქოს ქვემოთაა ჩამოვარდნილი (ავაზაკების დიფერენცირება ტიპიურია ჯვარცმის იკონოგრაფიისთვის; ზოგჯერ ეს მათი თავების სხვადასხვა მხარეს მიბრუნებით, ზოგჯერ კი განმარტებითი წარწერების საშუალებით გადმოიცემა). თელოვანის რელიეფის ჯვარცმის სცენას ორივე მხრიდან საზღვრავს ორი ლომის გამოსახულება. ისინი აქაც, დანიელის სცენის მსგავსად, ბოროტ ძალებს უნდა განასახიერებდნენ. ლომები ჯვარცმის სცენაშიც დიაგონალურად არიან განლაგებულნი და თითქოს ემუქრებიან ავაზაკებს. საყურადღებოა, რომ კეთილ ავაზაკს ლომი არ ეხება, მათ შორის მცირე ინტერვალია, ხოლო ბოროტ ავაზაკს ლომი ახტება - მისი წინა თათები და დრუნჩი ამ ფიგურის სხეულზეა მიბჯენილი. ესეც ამყარებს მოსაზრებას, რომ ჯვრისკენ ტერფებმიმართული ფიგურა იმ ავაზაკს განასახიერებს, რომელმაც ირწმუნა ქრისტე და ამიტომ მას, ისევე როგორც მართალ დანიელს, ლომის სახით წარმოდგენილი ბოროტი ძალა ვერ ეხება, ხოლო მეორე ფიგურა - ურწმუნო ავაზაკს წარმოგვიდგენს, რომელიც ჭეშმარიტებისგან შებრუნებულია და მას ეშმაკი, ბოროტი ძალა იპყრობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოროტი ავაზაკი ოსტატს უფრო ქვემოთ გამოუსახავს (ჯვრის ქვედა მკლავის დაბო-

ლოება და კეთილი აეაზაკის ტერფები თითქმის ერთ დონეზეა)[6].

დანიელისა და ჯვარცმის კომპოზიციებს ქვემოთ გამოსახულია მათთან შედარებით დიდი ზომის მცენარეული ორნამენტი, რომელიც წარმოადგენს ფრიზულად გაშლილ, მორკალული ღეროთი გადაბმულ აკანთის ფოთლებს. ამგვარი მოტივი ხშირად გვხვდება შუა საუკუნეების ქართულ ტაძრთა (მცხეთის ჯვრის მცირე (VI ს.) და მთავარი ტაძრის (VI-VII სს.), ეალეთის (VII ს.), სამშვილდის (VIII ს.), ვალეს (X ს.), კუმურდოს (X ს.), შეპიაკის (X ს.) და სხვათა ორნამენტულ დეკორში. იგი სიცოცხლის ხის, სამოთხის და აღდგომის თემას უკავშირდება, რაც გასაგებს ხდის თელოვანის რელიეფზე ამ გამოსახულების ასეთი დიდი ზომით წარმოდგენას. ამ თემას აგრძელებს ფილის მარცხენა მხარეს, მის მთელ სიმაღლეზე გამოსახული პალმის ხე, რომლის ნაყოფსაც შეექცევიან ვერტიკალურად წარმოდგენილი ჯიხვი და ირემი. ეს ფიგურები უკეთაა შემონახული - კარგად გაირჩევა ირმისა და ჯიხვის განსხვავებული ფორმის რქები, მათი ღრმად ჩაჭრილი წერტილებით გადმოცემული თვალები, სადა ზედაპირიანი სხეულების ფორმები. ამავე თემას ეხმიანება რელიეფის მარჯვენა კიდეში გამოსახული, ძლიერ დაზიანებული ორი ცხოველის ფიგურა მცენარეულ მოტივებთან ერთად. ეს ცხოველებიც ვერტიკალურად არიან განლაგებულნი. ქვედა შედარებით უკეთ შემორჩა, მისი სილუეტის მიხედვით ის კურდღელს მოგვაგონებს. ეს მოტივი - მცენარე (სიცოცხლის ხე), რომლის ნაყოფსაც ცხოველები ან ფრინველები შეექცევიან, სიმბოლურად მორწმუნეთა სულების ზიარებას გამოხატავს და ადრექრისტიანული იკონოგრაფიიდან მომდინარეობს (მაგალითად, სანტა კონსტანცას მავზოლეუმის მოზაიკა რომში (IV ს.) და მრავალი სხვა). იგი ხშირად გვხვდება ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ძეგლებშიც (მაგალითად, ბოლნისის სიონის (V ს.), აკაურთას (V-VI სს.), აკვანებას (VI ს.), მარტვილის (VII ს.) რელიეფები).

ამგვარად, თელოვანის რელიეფს ყოველი მხრიდან სამოთხის და ეექარისტულ სიმბოლიკასთან დაკავშირებული სიცოცხლის ხისა და ცხოველთა მოტივები აკრავს, რომლებიც შინაარსობრივად ეხმიანებიან მაცხოვრის ვნებების, აღდგომის და სულის ხსნის გამომხატველი ჯვარცმისა და მისი ძველადთქმისეული წინახატის - დანიელის სასწაულებრივი ხსნის თემებს.

თელოვანის რელიეფი საერთო მხატვრულ-სტილისტური შესრულებით - კომპოზიციური აგების "ხალიჩისებრი" ხასიათით, გამოსახულებათა სქემატურ-პირობითი ფორმებით, ქვის კვეთის ხისტი მანერით გარდამავალი ხანის ადრეული ეტაპის (VIII-IX სს.) ძეგლებს უკავშირდება.

როგორც აღინიშნა, გამოსახულებათა გარშემო ფონი მხოლოდ 5-6 მმ-ზეა ამოღებული. ერთ დონეზე ამოწეული ფიგურების ზედაპირი შებრტყელებულია, მასზე კი გრაფიკულად ჩაჭრილი ხაზებითა და წერტილებით ძუნწად

---

[6] ჯვარცმის კომპოზიციები აეაზაკთა გამოსახულებებით ადრეული შუა საუკუნეებიდან მოკიდებული ხშირად გვხვდება ქართულ სახეით ხელოვნებაში, მაგ., საცხენისის და ბერიჯერის სტელებზე (VI-VII სს. - გ.ჯაფარიძე, ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები, თბ., 1998, ტაბ. LXXIX1), LXXX1), წებელდის ფილაზე (VI-VIII სს. Н.А.Аладашвили, დასახ. ნაშრ., ტაბ. 61), საბერეების N 5 (IX ს.) და N 7 (X ს.) ეკლესიების მხატვრობაში (Т.Шевякова, Монументальная живопись раннего средневековья Грузии, Тб., 1983, ტაბ. 29, 30, 31, 35), ბრილის საწინამძღვრო ჯვარზე (Xს. Г.Н.Чубинашвили, Из истории средневекового искусства Грузии, М., 1990, ტაბ. 53), შორაპნის ციხის ჭედურ ლორფინზე (X-XI სს. Г.Н.Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, ტაბ. 112, 113). იყალთოს ფილაზე (X ს.-ის დასაწყისი, Р.Шмерлинг, Плита из церкви св.Степана в селении Икалто, ქართული ხელოვნება, 8, თბ., 1979, გვ. 133, ტაბ. 60).

არის აღნიშნული დეტალები - ავაზაკების სამოსის სარტყელები, ცხოველთა თვალები, ბრჭყალები, თევზის კუდი და სხვ. რელიეფი ფონისკენ სწორი კუთხითაა ჩაკვეთილი, მსუბუქი ოდნავ ცერად ჩაკვეთით არის გამოყვანილი მცენარეული მოტივები; მათი კვეთა მშრალი და არაპლასტიკურია.

თელოვანის ფილის მთელი ზედაპირი შევსებულია სხვადასხვა დონეზე განლაგებული, უნიადაგოდ "პაერში გამოკიდებული" ფიგურული გამოსახულებებითა და ორნამენტული სახეებით, რომლებიც არაორგანიზებულადაა გაფანტული სიბრტყეზე[7]. მრავალრიცხოვანი გამოსახულებებით მთელი სიბრტყის "ხალიჩისებრი" შევსება უფრო მეტად VIII საუკუნის რელიეფებს ახასიათებს (მაგ., უსანეთის სტელა, გველდესის კანკელი, წირქოლის ტაძრის სამხრეთი სარკმლის სათაურის რელიეფი). IX საუკუნის კომპოზიციები (ოპიზის, ბორჯომის რელიეფები) უფრო მოწესრიგებულია, სიუჟეტური სცენა გამოკვეთილი, ფონი ნაკლებად არის გადატვირთული და მთავარი ყურადღება ფიგურულ გამოსახულებებს ეთმობა. რელიეფურ ფილათა ზედაპირის მაქსიმალური შევსების ტენდენცია ჩანს VIII საუკუნეზე ადრეულ ძეგლებშიც[8]. მაგ., მარტვილის ტაძრის ფრიზებზე (VII ს.) სიუჟეტურ სცენებს ფონის თავისუფალ ადგილებში გასდევს ვაზის ორნამენტი; ჟალეთის რელიეფზე (VII ს.) - დეკორატიული ყარდულები ავსებენ ფონს; წებელდის ფილები (VII-VIII სს.) შევსებულია ორნამენტული მოჩარჩოებებით შემოსაზღვრული მრავალფიგურიანი პატარა სცენებით და სხვადასხვა სემანტიკური მოტივებით, მაგრამ ამ ძეგლებში, თელოვანისაგან განსხვავებით, მეტია კომპოზიციური ორგანიზებულობა, ფიგურული გამოსახულებანი პირველხარისხოვანია, ორნამენტები მხოლოდ მოჩარჩოებისა და ფონის შევსებას ემსახურება. თელოვანის რელიეფზე კი - ორნამენტული მოტივი თავისი ზომით გაცილებით ჭარბობს ფიგურულ გამოსახულებებს და მის ზემოთ წარმოდგენილი პატარა სცენები თავდაპირველად თითქმის შეუმჩნეველი რჩება.

რაც შეეხება ადამიანთა გამოსახულებებს, მათი პროპორციები უფრო დაგრძელებულია, განსხვავებით IX-X საუკუნეების რელიეფების (ოპიზა IX ს., ჯოისუბანი X ს., ფეტობანი და სხვ.) დიდთავა, ჯმუხი, დამჯდარი პროპორციების ფიგურებისაგან, რომელთაც გადიდებული ხელები და პატარა ტერფები აქვთ. თელოვანის ფიგურების თავის სხეულთან პროპორციული შეფარდება უდრის – 1x7, ე.ი. ადამიანის გამოსახულების პროპორციებით იგი ადრეული ხანის რელიეფებს უკავშირდება (მაგ., მცხეთის ჯვრის (VI-VII სს.) რელიეფების ფიგურათა სხეულისა და თავის პროპორციული თანაფარდობა უდრის 1x5, ბრდაძორის სტელისა (VI ს.) – 1x5, კატაულის სტელის (VII ს.) – 1x6 და ა.შ.). თელოვანის რელიეფის გამოსახულებები ყველაზე მეტ სიახლოვეს წებელდის ფილის (VII-VIII სს.) ფიგურებთან იჩენენ - პატარა თავებით, გრძელი კიდურებით (მაღალი წვიეები); თუმცა წებელდის კანკელის ფიგურები მეტი დინამიკურობით ხასიათდება, აქ გვხვდება პროფილში და 3/4-ში წარმოდგენილი სხეულები და თავები, ყველა გამოსახულება პირობით ნიადაგზე "დგას". მათგან განსხვავებით თელოვანის გამოსახულებანი მეტი პირობითობით ხასიათდება, მოძრაობებიც უფრო სქემატურია, სხეულის ნაწილები ერთ სიბრტყეშია გაშლილი - ტანი ფასში, ფეხის ტერფები - პროფილში, ფიგურები უნიადაგოდ,

---

[7] Н.А.Аладашвили, დასახ. ნაშრ., გვ.68.

[8] Н.А.Аладашвили, Некоторые вопросы грузинской скульптуры раннефеодального времени, ქართული ხელოვნება, 8, თბ.,1979, გვ.80.

უსაყრდენოდ, პირობითად, ჰაერშია გამოკიდებული. ასევე პირობითად, უნიადაგოდ და ვერტიკალურად (სამოთხის ცხოველები) ან დიაგონალურად (ლომები) არიან გამოსახულნი ცხოველებიც. ამგვარად წარმოდგენილი ცხოველები გვხვდება მამულას სტელაზე (VII-VIII სს.), უსანეთის სტელაზე (VIII ს.) და გარდამავალი ხანის სხვა რელიეფებზე. ადრეული პერიოდის ძეგლებში - ბოლნისის (V ს.), აკაურთის (V-VI სს.), ატენის (VII ს.), მარტვილის (VII ს.), წებელდის (VII-VIII სს.) ცხოველთა ფიგურები ჩვეულებრივ "დგანან". თელოვანის რელიეფის გამოსახულებათა სილუეტური ნახატი კუთხოვანი, ტეხილი, არაპლასტიკურია. ყველა ამ ნიშნით იგი კვლავ გარდამავალი ხანის რელიეფებს უახლოვდება.

თელოვანის რელიეფის მხატვრული გადაწყვეტა, რომელიც უფრო მეტად VIII საუკუნის ქართული პლატიკის ნიმუშებთან იჩენს მსგავსებას, და მისი სახითმეტყველებითი მხარის არქაული ხასიათი, კერძოდ, ადრექრისტიანული იკონოგრაფიისთვის სახასიათო თვეზის გამოსახულება, "ჯვარცმაში" ჯვრის გამოსახვა ჯვარცმული ქრისტეს გარეშე, ასევე V-VII საუკუნეებში გავრცელებული სიცოცხლის ხისა და ცხოველების მოტივები, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ეს რელიეფი VIII საუკუნის პირველ ნახევარში ან შუა ხანებში, იყოს შესრულებული, ე.ი. უფრო ადრე, ვიდრე "ჯვარპატიოსნის" ეკლესიის ხუროთმოძღვრებაა დათარიღებული.

ამ პრობლემის გადაწყვეტაში დაგვეხმარა რელიეფის თავდაპირველი ადგილმდებარეობის საკითხის გარკვევა. მისი დღევანდელი მდებარეობა - კარის წირთხლში საკმაოდ მაღლა მოთავსება, – თავიდანვე გარკვეულ ეჭვს ბადებს. შესასვლელის წირთხლში სხვადასხვა გამოსახულებების ამოკვეთა არ არის უცხო ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის (მაგ., ბზის წმ. გიორგის ეკლესიის (X-XI სს.) სამხრეთი კარის წირთხლში ამოკვეთილი ორანტა და ჯვარი), მაგრამ ამ შემთხვევაში გამოსახულებანი უფრო ქვემოთ, მხილველთან ახლოსაა წარმოდგენილი. "ჯვარპატიოსნის" ეკლესიის დასავლეთი კარის წირთხლში კი - რელიეფური ფილა ორი მეტრის სიმაღლეზეა ჩასმული და ტაძარში შემსვლელი, რომელიც პირდაპირ საკურთხეველს მიაპყრობს მზერას, ვერც კი ამჩნევს მას; ამასთან, რელიეფის მცირე ზომის სცენები ძნელადაღსაქმელია ამ მანძილიდან. და კიდევ ერთი მომენტი – ფილის ზედა ზღვარი უშუალოდ ფიგურათა თავებზე გადის, ზოგი გამოსახულების (კეთილი ავაზაკის და დანიელის) თავი ოდნავ გადაჭრილია კიდეც. ყოველივე ეს ბადებს აზრს, რომ ეს ქვა ამჟამინდელ ადგილზე ხელმეორედ არის გამოყენებული. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ რელიეფი XVIII საუკუნეში ტაძრის რეკონსტრუქციის დროს იქნა ამ ადგილზე ჩასმული და რომ თავდაპირველად ის ეკლესიის ჩრდილოეთი შესასვლელის ბალავრის ქვას წარმოადგენდა. საქმე ისაა, რომ ჩრდილოეთი კარი რესტავრაციამდე ჩამორღვეული ყოფილა[9]; მაგრამ ამ ღიობის სიგანე 94 სმ-ია, წირთხლის ფილისა კი - 112 სმ. ე.ი. იგი მხოლოდ 18 სმ-ით განიერია კარის ღიობზე. როგორც წესი, ბალავრის ქვის ზომები საგრძნობლად ჭარბობს ღიობისას, იმისათვის რათა არქიტრავის კიდეები კარგად დაეყრდნოს კედლებს; (მაგ., თელოვანშივე დასავლეთი შესასვლელის ბალავრის სიგანე 175 სმ, ღიობისა - 125 სმ. ე.ი. 50 სმ-ით მეტია, ჩრდილოეთი კარის ახალი ბალავარი კი 40 სმ-ით აღემატება კარის ღიობისას და სხვ.). ასე რომ, "ჯვარპატიოსნის" დასავლეთი შესასვლელის წირთხლში ჩასმული რელიეფიანი ქვა ჩრდილოეთი კარის

[9] იხ. რესტავრაციამდელი ფოტოები, ვ.ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, ფოტო 49 1, 2.

ბალაერად არ გამოდგებოდა. ისიც ნიშნეულია, რომ ე. ცინცაძე, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა "ჯვარპატიოსნის" არქიტექტურა და ხელმძღვანელობდა მის რესტავრაციას (1952-54 წწ.), XVIII საუკუნეში განახლებულ ტაძრის ნაწილთა შორის არ იხსენიებს დასავლეთი კარის შეკეთებას. სახელდობრ, იგი აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნეში გაამაგრეს დასავლეთი მკლავის კედლები, ამოაშენეს დასავლეთი სარკმელი, სამხრეთი კარი და ა.შ.[10] ე.ი. ე.ცინცაძის დაკვირვებით, დასავლეთი შესასვლელი თავდაპირველი სახით შემოგვრჩა. მაშინ შესაძლოა ეს ფილა თავიდან სხვა ეკლესიის კუთვნილება ყოფილიყო, რომელიც დაინგრა ან დაზიანდა, მისი ქვები კი "ჯვარპატიოსნის" ტაძრის მშენებლობაში გამოიყენეს(?!).

რელიეფური ფილის თავდაპირველი მდებარეობის საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ "ჯვარპატიოსნის" ეკლესიის გვერდით შემორჩენილია მცირე ზომის სამლოცველოს ნაშთები - ნახევარწრიული აფსიდი და კედლის ნაწილები, რომლებიც "ჯვარპატიოსნის" სამხრეთ ფასადს ეკვრიან: - 2,37 სმ-ის სიმაღლეზე დარჩენილია ქვიშაქვის კაპიტელი და მცირე ეკლესიის სხვა ქვები (სურ. 3). აღსანიშნავია, რომ პატარა ეკლესიაც ისეთივე მასალით არის ნაგები, როგორიც დიდი ტაძარი - რიყის ქვით და კირის დუღაბით, ხოლო ცალკეული დეტალები - ქვიშაქვით. ე. ცინცაძე ვარაუდობს, რომ ამ ადგილას თავდაპირველად ეს პატარა სამლოცველო იდგა, რომელსაც მოგვიანებით გუმბათური ტაძარი მიაშენეს[11]. ამ ეკლესიათა არათანადროულობა დაადასტურა მათი დუღაბების სინჯების ანალიზებმაც[12]. როგორც გეგმიდანაც ჩანს, პატარა ეკლესიის კორპუსი იკვეთება "ჯვარპატიოსნის" ტაძრის მასებით; ამიტომ საფიქრელია, რომ ეს მცირე ეგზეტერი გუმბათური ტაძრის აგებისას უკვე დაზიანებული ან დანგრეული იყო. სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს მოსაზრება ამ სამლოცველოს დათარიღების შესახებ. სამშენებლო მასალის და საკარაუდოდ წყობის მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ იგი "ჯვარპატიოსანზე" გარკვეული ხნით ადრე შეიძლებოდა აგებულიყო, კერძოდ VIII საუკუნის პირველი ნახევარსა ან შუა ხანებში; ყოველივე ეს ემთხვევა წირთხლში ჩასმული რელიეფის შესრულების ჩვენს მიერ ნავარაუდებ პერიოდს.

ამრიგად, არ არის გამორიცხული, რომ რელიეფური ფილა თავდაპირველად თელოვანის მცირე ეკლესიის კუთვნილება ყოფილიყო. ჰორიზონტალურად წაგრძელებული ფორმის მიხედვით შეიძლება იგი შესასვლელის არქიტრავად წარმოეიდგინოთ. მცირე ზომის ნაგებობას ესადაგება ეს ფილა თავისი ზომებითაც (სიგანე - 112 სმ., სიმაღლე - 35 სმ., ქვის სისქე - 30 სმ.). როგორც აღინიშნა, "ჯვარპატიოსნის" მშენებლობისას ეს ეკლესია შესაძლოა უკვე დაზიანებული ყოფილიყო და, ბუნებრივია, მისი ქვები გამოიყენეს ახალი დიდი ტაძრის მშენებლობაში, მათ შორის რელიეფურგამოსახულებიანი ქვაც, რომელსაც "ჯვარპატიოსნის" ეკლესიაში თავისი ადგილმდებარეობის მიხედვით უფრო ნაკურთხი და შემდგომ იავარქმნილი ეკლესიიდან დარჩენილი წმინდა ნაწილის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ვიდრე სალოცავი ხატისა.

რელიეფის მხატვრული გადაწყვეტის განსხვავებული ხასიათის უკეთ დასან-

---

[10] ე.ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 75-76.

[11] იქვე, გვ. 74.

[12] ეროი ეკლესიის კირისა და ხრეშის დუღაბში არეული ქვიშის და თიხამიწის შემცველობა სჭარბობს მეორესას და ხარისხიც განსხვავებულია. სინჯები შესრულებულია ე.პრიეალოვას სახელობის მხატვრობის ტექნიკური კვლევის ცენტრში - "ბეთანია", ამ ცენტრის დირექტორის ნ. კუპრაშვილის მიერ.

ახად საინტერესოა მისი შედარება "ჯვარპატიოსნის" კარ-სარკმელთა მორთულობისა და მხატვრობის პირველი ფენის გამოსახულებებთან. ტაძრის რელიეფური დეკორი, მართალია, მხოლოდ ორნამენტული მოტივებითაა წარმოდგენილი, მაგრამ შეიძლება დავაკვირდეთ განსხვავებას კომპოზიციურ გადაწყვეტასა და კვეთის ხასიათში. წირთხლის ფილის მრავალფიგურიანი და სხვადასხვამოტივებიანი კომპოზიციის არაორგანიზებული, "ხალიჩისებრი" ხასიათისაგან განსხვავებით, "ჯვარპატიოსნის" დასავლეთი კარის ბალავრის ჯვრების, ვარდულების, ხეების გამოსახულებებით შედგენილი კომპოზიცია (სურ.4), ასევე აღმოსავლეთი სარკმლის სათაურის პალმეტებისა და ვარდულების თუ სამხრეთი (ამოქოლილი) კარის არქივოლტის პალმეტების მწკრივით წარმოდგენილი კომპოზიციები ხასიათდება სიმეტრიულობით, მკაფიოებით, ორგანიზებულობით, ერთნაირი ზომის მოტივების ფილებზე თანაბარზომიერი განაწილებით. მათ ასევე ყოველი მხრიდან თანაბრად მომსაზღვრელი მოჩარჩოებანი აქვთ (წირთხლის ფილას მოჩარჩოება არ გააჩნია). მაგ., დასავლეთი შესასვლელის არქიტრავის კომპოზიციას ოთხივე მხრიდან საზღვრავს ნახევარწრიული ფორმის ხლართებად შედგენილი მწკრივები, რომლებშიც სამკუთხედებია ამოკვეთილი, ჩარჩოს გარეთ, გვერდით მხარეებზე კი - სიმეტრიულად ორი გუნდის ხეა გამოსახული; სამხრეთი კარის არქივოლტის პალმეტებს ზემოდან და ქვემოდან გრეხილი ლილვები ანარჩოებს და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თუ "ჯვარპატიოსნის" კარ-სარკმელთა მორთულობაზე ერთმანეთის მსგავსი მოტივები - პალმეტები, ვარდულები, ცრემლისებრი სახეები მეორდება, წირთხლის ფილაზე ვხედებით სრულიად განსხვავებული ფორმის ხეს, ფოთლოვან და სამკუთხედების მოტივებს.

განსხვავება შეინიშნება კვეთის მანერაშიც - მაგ., დასავლეთი კარის ბალავრის რელიეფზე ორნამენტულ სახეთა ფორმები - ჯვრები, ვარდულები, სამკუთხედები ფონის ჩაღრმავებითაა გადმოცემული, მაშინ როდესაც წირთხლის რელიეფზე ფონი გამოსახულებების გარშემოა ამოღებული. რაც შეეხება სხვა არქიტექტურული დეტალების რელიეფებს, - სამხრეთი კარის, აღმოსავლეთი სარკმლის, გუმბათის მოტივები რელიეფურადაა გამოელენილი, მათ გარშემო ფონის ამოღებით, მაგრამ კვეთა უფრო პლასტიკურია, ისინი ორმხრივი მსუბუქი ჩაჭრით გადმოიცემა, წირთხლის რელიეფის კვეთა კი - მშრალი და გრაფიკულია. "ჯვარპატიოსნის" ფასადთა ორნამენტული მორთულობის აღწერისას ვ.ცინცაძე აღნიშნავს, რომ მოტივები და კვეთის ხასიათი მსგავსებას იჩენს VI-VII საუკუნეების ტაძართა - ჯვარი, ატენი, სამწევრისი, წრომი, სამშვილდე (777 წ.) - ჩუქურთმებთან და რომ ამ ძეგლში ძლიერია კლასიკური სტილის ტრადიციები[13]. მართლაც, "ჯვარპატიოსნის" კარ-სარკმელთა ჩუქურთმები მკაფიო, დახვეწილი, სიმეტრიულად განაწილებული მოტივებით სიმშვიდის, დასრულებულობის ხასიათს ატარებს, წირთხლის რელიეფი კი - გამოსახულებათა თავისუფალი, ასიმეტრიული განლაგებით მოულოდნელობის და ერთგვარი "ესკიზურობის" შთაბეჭდილებას ქმნის.

წირთხლის რელიეფის გამოსახულებებისგან განსხვავებულ ფორმათშეგრძნებას ამჟღავნებენ ტაძრის საკურთხევლის აფსიდში შემორჩენილი მოხატულობის პირველი ფენის ფიგურები. მათ დამჯდარი პროპორციები, ექსპრესიულად გადიდებული თავები და ხელის მტევნები აქვთ. გრძელ სამოსში გახვეულ ერთიანი, დაუნაწევრებელი, ბლოკური ფორმის სხეულებს მსხვილი, პარალე-

[13] ვ. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ.88.

ლური ხასებით გადმოცემული სამოსის დრაპირება აცოცხლებს. ყოველივე ამით ეს გამოსახულებანი სრულიად განსხვავდებიან წირთხლის რელიეფის დაგრძელებული პროპორციების მქონე ფიგურებისაგან და მეტ სიახლოვეს IX საუკუნის ოპიზის რელიეფთან იჩენენ[14].

ამგვარად, წირთხლის რელიეფის მხატვრული გადაწყვეტა "ჯვარპატიოსნის" რელიეფური დეკორისა და მისი თანადროული მოხატულობის პირველი ფენისაგან განსხვავებულ მიდგომას აელენს, რაც კიდევ ერთხელ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ შესაძლებელია ეს რელიეფი უფრო ადრეული პერიოდის ქმნილება იყოს და ამჟამინდელ ადგილას ხელმეორედ ყოფილიყო გამოყენებული.

**Tamar Khundadze**
**On the Relief of the Telovani Church of Holy Cross**

In the sculptural decoration of the Telovani church of Holy Cross (at present it is dated to the second half of the 8th c.), attention is drawn by the relief with subject scenes in the west entrance jamb. This partially damaged plaque bears several subject scenes represented side by side, without any partition. In the middle, one after another, depicted are Daniel in the Lions' Den (Daniel with his hand upraised in prayer is flanked by two lions placed diagonally towards him, symbolizing the threat of the evil powers) and a peculiar version of the Crucifixion. The Crucified Saviour is replaced here by a plain cross with a fish – Early Christian symbol of Jesus Christ – beneath it; the central image is flanked by two human figures, attributes of which make it possible to propose that (although lateral crosses are not depicted) they are two robbers crucified together with Christ; from these two, feet of the right figure are turned towards the Lord – this is most likely to be a righteous robber, while the feet of the felt one (which should be an evil robber) are turned in the opposite direction. This scene is also flanked by two lions symbolising evil powers – at the same time, the lion does not touch the righteous robber, but it directly presses the evil robber. Beneath these scenes large acanthus leaf ornament is carved (well known in the 5th-10th cc. Georgian architectural sculpture) – an indication of the Tree of Life, Paradise and Resurrection. The same theme is reflected in the inhabited plants (to the left – an ibex and a deer, to the right – a rabbit and one more, severely damaged animal) represented on the plaque edges; this is, doubtlessly, an image of the Communion of the souls of the faithful. Thus, Telovani relief symbolises the Paradise, Eucharist, Passion and Resurrection of the Lord and Salvation. As for its style, this flat "carpet-like" composition is linked with the 8th-9th cc. Georgian plastic art. Due to the filling of the entire surface, it is much closer to the 8th c. reliefs (Usaneti stele, Gveldesi chancel-barrier, Tsirkoli church window decoration). Compared to the 9th-10th cc. reliefs (Opiza, 9th c.; Joisubani, Petobani, both 10th c.), figures are more elongated here, showing greater affinity with the samples of earlier date, especially to the 7th-8th cc. Tsebelda chancel-barrier, although Telovani is more conventional and schematic. Likewise archaic is the iconography of the relief. All these place Telovani relief in the first half of the 8th c.

One more thing should be taken into consideration – Telovani relief is definitely relocated; initially it should have occupied some other place, i.e. it used to adorn a structure of somewhat earlier date than the present church. It should also be noted that the general compositional arrangement and manner of stone carving differs this relief from the composition and manner of execution of the carved decoration of the present church proper. Relief under discussion might have decorated a minor chapel, remnants of which are still preserved at the south façade of the church.

---

[14] ზ. სხირტლაძე, დასახ. ნაშრ., გვ.114.



სურ. 1. თელოვანი.
დასავლეთი კარი



ნახ. 1

სურ. 2. თელოვანი. რელიეფური ფილა დასავლეთ
კარის წირთხლში



სურ. 3. თელოვანი.
სამლოცველოს ნაშთები



**სურ. 4. თელოვანი. დასავლეთ კარის ზღუდარი.**